საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №10

ქ. თბილისი

22.03.12

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები:

კახი ყურაშვილი - შპს - თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სრული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;

ნინო ძოწენიძე - საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის აღმასრულებელი საბჭოს წევრი;

კონსტანტინე ნანობაშვილი - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;

ლალი ღოღელიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სამშენებლო ფაკულტეტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი;

დავით კახნიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის" დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

პეტრე წურწუმია - დირექტორის პირველი მოადგილე;
ნანა ჭიღლაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;
რევაზ ხოფერია - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ნინო ფურცხვანიძე - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;
ნინო ბეგიაშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;
კონსტანტინე ჩოკორაია - ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;
ლაშა მარგიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;
ივანე ალავიძე - გარე მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;
გიორგი ელისაბედაშვილი - გარე მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
ოთარ სიბაშვილი - შიდა მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;

ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. თამარ ჩანტლაძე - შპს - „კაი ყმის" დირექტორი;
2. მანანა ასათიანი - „ალბიონის" დირექტორი;
3. ქეთევან ლომინაძე - შპს - „გრაალის" დირექტორი;
4. ჯენერი არქანია - შპს - „ლაშარის" დირექტორი;
5. თეიმურაზ მენაფირე - შპს - ზვიად გამსახურდიას სახელობის დავით მენაფირის სკოლა „ლამპარის" დირექტორი;
6. ნუგზარ მაისურაძე - შპს - ლაზარეს დირექტორი;
7. ლია მულაძე - შპს - კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა „მნათობის" დირექტორი;
8. ჯუმბერ კეჭეხმაძე - შპს - „დათას" დირექტორი;

9. შორენა ნოდრიშვილი - ა(ა)იპ - საგანმანათლებლო კვლევებისა და პროფესიული განვითარების ცენტრის (თავისუფალი სკოლა) ხარისხის მართვის მენეჯერი;
10. ეკატერინე ხაჩიძე - შპს - გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლა ,,კანდელის'' დირექტორი;
11. თამარ შაკიაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების სახელობის მართლმადიდებლური ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის დირექტორი;
12. ცისიერ დიღმელაშვილი - სპს - ცისიერ დიღმელაშვილის ქართულ-ფრანგული სკოლა ლიცეუმის დირექტორი;
13. თინათინ ოთარაშვილი - სპს - ცისიერ დიღმელაშვილის ქართულ-ფრანგული სკოლა ლიცეუმის პედაგოგი;
14. მარინა შაყულაშვილი - შპს - ივანე ჯავახიშვილის სახელობის ბორჯომის კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დირექტორი;
15. ციალა ლაგვილავა - შპს - იტალიური სკოლის დირექტორი;
16. მაია ჩიქოვანი - შპს - ქართული სკოლის დირექტორი;
17. ბელა კაპანაძე - შპს - ,,ხერხემის'' დირექტორი;
18. მზია ქვირჯიშვილი - შპს - ,,ხერხემის'' ბუღალტერი;
19. მანანა ნაჭყებია - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქო, ზუგდიდის წმინდა გიორგის სახელობის გიმნაზიის დირექტორი;
20. ნანა ლომთაძე - ა(ა)იპ - საერთაშორისო ასოციაცია ,,ინტელექტის'' დირექტორი;
21. თამილა ლამაზოშვილი - შპს - ,,ალსოს'' დირექტორი;
22. ელზა მათიაშვილი - შპს - ,,ალსოს'' დირექტორის მოადგილე;
23. ეკატერინე გაბაშვილი - შპს - არასახელმწიფო ინტეგრირებულ სკოლა ბაღი - ბალავარის წარმომადგენელი;
24. თამარ გამცემლიძე - შპს - არასახელმწიფო ინტეგრირებულ სკოლა ბაღი - ბალავარის სასწავლო ნაწილის გამგე;
25. მამუკა გუგეშაშვილი - შპს - ოლიმპი თბილისი +ის დამფუძნებელი;
26. ლელა წიქარიშვილი - შპს - ოლიმპი თბილისი +ის სასწავლო პროცესის ხელმძღვანელი;
27. ია ხურცილავა - შპს - ეროვნული სკოლა გიმნაზიის დირექტორი;
28. ნონა ჯაფარიძე - შპს - ჯი-ვი-ენის დირექტორი;
29. კახაბერ წამალაიძე - ა(ა)იპ - კრეატიული განათლების სკოლის დირექტორი;
30. მარინა ქავთარაძე - შპს - სკოლა-ლიცეუმ ,,გრაალის'' დირექტორი;

ავტორიზაციის ექსპერტები:
ქეთევან ბოტკოველი - ავტორიზაციის ექსპერტი;
მარიამ ხუციშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
ირინა დვალი - ავტორიზაციის ექსპერტი;
ნონა ზუმბაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
ნინო ბალანჩივაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
ლეილა გველესიანი - ავტორიზაციის ექსპერტი;
მაია ხურცილავა - ავტორიზაციის ექსპერტი;
ლიანა ჩარკვიანი - ავტორიზაციის ექსპერტი;
ნელი ნასყიდაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
მაკა ტუკვაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
ნოდარ ანგურიძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
ნინო ფეტვიაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 19:27 სთ-ზე და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დაავალა ლალი ღოღელიანს.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს - კაი ყმაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს - ალბიონში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს - გრაალში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს - ლაშარში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. შპს - ზვიად გამსახურდიას სახელობის დავით მენაფირის სკოლა „ლამპარში“ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. შპს - ლაზარეში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
7. შპს - მნათობში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
8. შპს - დათაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
9. ა(ა)იპ - საგანმანათლებლო კვლევებისა და პროფესიული განვითარების ცენტრში - თავისუფალი სკოლა განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
10. შპს - გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლა კანდელის მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
11. ა(ა)იპ - წმინდა ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების სახელობის მართლმადიდებლური ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
12. სპს - ცისიერ დიღმელაშვილის ქართულ-ფრანგული სკოლა ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
13. შპს - ივანე ჯავახიშვილის სახელობის ბორჯომის კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
14. შპს - იტალიური სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
15. შპს - ქართული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
16. შპს - ხერხემის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
17. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქო, ზუგდიდის წმინდა გიორგის სახელობის გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
18. ა(ა)იპ - საერთაშორისო ასოციაცია ინტელექტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
19. შპს - ,,ალსოს'' ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
20. შპს - არასახელმწიფო ინტეგრირებულ სკოლა ბაღი-ბალავარის ავტორიზაციის საკითხის

განხილვა;
21. შპს - ოლიმპი თბილისი +ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
22. შპს - ეროვნული სკოლა გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
23. შპს - სკოლა ჯი-ვი-ენის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
24. ა(ა)იპ - კრეატიული განათლების სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
25. შპს - სკოლა-ლიცეუმ გრაალის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
26. შპს - მრავალპროფილიანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ,,ლიბერთი-პროფის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ ყოფილა. საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

1. **შპს - ,,კაი ყმაში“ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც განმარტა, რომ მონიტორინგის ჯგუფის განმეორებითი ვიზიტის შედეგად ყველა დაფიქსირებული ზარვეზი იყო გამოსწორებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლებს, ადასტურებდნენ თუ არა ისინი, რომ დაწესებულებამ გამოასწორა ყველა ხარვეზი. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა, ივანე ალავიძემ, დაადასტურა ზემოაღნიშნული.

საბჭომ განიხილა შპს - ,,კაი ყმაში“ განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ,,კაი ყმის“ ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - ,,კაი ყმის“ ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

2. შპს - ალბიონში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც განმარტა, რომ მონიტორინგის ჯგუფის განმეორებითი ვიზიტის შედეგად ყველა დაფიქსირებული ზარვეზი იყო გამოსწორებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლებს, ადასტურებდნენ თუ არა ისინი, რომ დაწესებულებამ გამოასწორა ყველა ხარვეზი. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა, ივანე ალავიძემ, დაადასტურა ზემოაღნიშნული.

საბჭომ განიხილა შპს - ალბიონში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ალბიონის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - ალბიონის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

3. შპს - გრაალში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც განმარტა, რომ 2012 წლის 6 მარტს ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაციითა (ცენტრში რეგისტრაციის №03-1936) და მონიტორინგის ჯგუფის ადგილზე გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ყველა დაფიქსირებული ხარვეზი იყო გამოსწორებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლებს, ადასტურებდნენ თუ არა ისინი, რომ დაწესებულებამ გამოასწორა ყველა ხარვეზი. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა, ივანე ალავიძემ, დაადასტურა ზემოაღნიშნული.

საბჭომ განიხილა შპს - გრაალში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - გრაალისთვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - გრაალის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

4. შპს - ლაშარში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც განმარტა, რომ მონიტორინგის ჯგუფის ადგილზე გადამოწმების შედეგად ყველა დაფიქსირებული ხარვეზი იყო გამოსწორებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლებს, ადასტურებდნენ თუ არა ისინი, რომ დაწესებულებამ გამოასწორა ყველა ხარვეზი. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა, ივანე ალავიძემ, დაადასტურა ზემოაღნიშნული.

საბჭომ განიხილა შპს - ლაშარში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ლაშარისთვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - ლაშარის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

5. შპს - ზვიად გამსახურდიას სახელობის დავით მენაფირის სკოლა ,,ლამპარში“ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც განმარტა, რომ მონიტორინგის ჯგუფის ადგილზე გადამოწმების შედეგად ყველა დაფიქსირებული ხარვეზი იყო გამოსწორებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლებს, ადასტურებდნენ თუ არა ისინი, რომ დაწესებულებამ გამოასწორა ყველა ხარვეზი. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა, ივანე ალავიძემ, დაადასტურა ზემოაღნიშნული.

საბჭომ განიხილა შპს - ზვიად გამსახურდიას სახელობის დავით მენაფირის სკოლა ,,ლამპარში“ განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ზვიად გამსახურდიას სახელობის დავით მენაფირის სკოლა ,,ლამპარისთვის“ ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - ზვიად გამსახურდიას სახელობის დავით მენაფირის სკოლა ,,ლამპარის“ ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

6. შპს - სკოლა-ლიცეუმ „ლაზარეში“ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ 2012 წლის 13 მარტს ცენტრში წარმოდგენილ იქნა №03-2144 კორესპონდენცია, რომლითაც დასტურდება, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ყველა ხარვეზი გამოსწორებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელს, გიორგი ელისაბედაშვილს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულებამ გამოასწორა ყველა ხარვეზი. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა, გიორგი ელისაბედაშვილმა, დაადასტურა ზემოაღნიშნული.

საბჭომ განიხილა შპს - სკოლა-ლიცეუმ „ლაზარეში“ განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სკოლა-ლიცეუმ „ლაზარეს“ ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - სკოლა-ლიცეუმ „ლაზარეს“ ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

7. შპს - მნათობში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც განმარტა, რომ მონიტორინგის ჯგუფის ადგილზე გადამოწმების შედეგად ყველა დაფიქსირებული ხარვეზი იყო გამოსწორებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელს, გიორგი ელისაბედაშვილს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულებამ გამოასწორა ყველა ხარვეზი. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა, გიორგი ელისაბედაშვილმა, დაადასტურა ზემოაღნიშნული.

საბჭომ განიხილა შპს - მნათობში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - მნათობისთვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - მნათობის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

8. შპს - დათაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც საბჭოს მოახსენა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნა.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 შპს - დათამ 2012 წლის 15 მარტს დადო ხელშეკრულება შპს - მატრიცასთან უსაფრთხოების კამერების შეძენის თაობაზე. ხელშეკრულების თანახმად აღნიშნული კამერების ტექნიკური პარამეტრები შეესაბამება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს. მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დროს აღნიშნული კამერები სკოლაში დამონტაჟებული არ იყო.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შპს - მატრიცასთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, უსაფრთხოების კამერების დამონტაჟების ვადად განსაზღვრულია 2012 წლის 15 აპრილი. სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ დაწესებულებას სრულად ჰქონდა გადახდილი კამერების შესყიდვის თანხა.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - დათასთვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - დათას ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

9. ა(ა)იპ - საგანმანათლებლო კვლევებისა და პროფესიული განვითარების ცენტრში (თავისუფალი სკოლა) განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც განმარტა, რომ მონიტორინგის ჯგუფის ადგილზე გადამოწმებისა და ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, ყველა შენიშვნა იყო გამოსწორებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლებს, ადასტურებდნენ თუ არა ისინი, რომ დაწესებულებამ გამოასწორა ყველა ხარვეზი. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა, ივანე ალავიძემ, დაადასტურა ზემოაღნიშნული.

საბჭომ განიხილა ა(ა)იპ - საგანმანათლებლო კვლევებისა და პროფესიული განვითარების ცენტრში (თავისუფალი სკოლა) განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საგანმანათლებლო კვლევებისა და პროფესიული განვითარების ცენტრის (თავისუფალი სკოლა) ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ - საგანმანათლებლო კვლევებისა და პროფესიული განვითარების ცენტრის (თავისუფალი სკოლა) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

10. შპს - გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლა კანდელისთვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ ფაქტობრივ გარემოებებზე.

სკოლას იჯარის ხელშეკრულებით სარგებლობაში აქვს 2 სართულიანი შენობა-ნაგებობის მეორე სართული, საერთო ფართით 295 კვ.მ.

სკოლაში არის 7 საკლასო ოთახი, მანდატურის ოთახი, ექთნის ოთახი, სპორტული დარბაზი და სამასწავლებლო. საკლასო ოთახები უზრუნველყოფილია ელექტრო ენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემით; გათბობის საშუალებად იყენებენ ელექტრო ქურებს. საკლასო ოთახები აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით: 76 ერთეული ერთადგილიანი მერხით, 14 ერთეული ორადგილიანი მერხით და შესაბამისი სკამების რაოდენობით, 9 ერთეული საკლასო დაფით, მასწავლებლის მაგიდებით და სკამებით, თაროებით და კედელზე გამოკრული სხვადასხვა თვალსაჩინოებებით.

სპორტული დარბაზი აღჭურვილია შემდეგი ინვენტარით: 1 ჩოგბურთის მაგიდა, 3 სავარჯიშო ლეიბი, 2 კალათბურთის ბურთი, 7 ფეხბურთის ბურთი, 5 ჭადრაკის კომპლექტი, 2 ტანვარჯიშის რგოლი, 2 ბადბინტონი და ერთი ფრენბურთის ბადე.

სკოლას აქვს მოწესრიგებული 2 სველი წერტილი, რომლებიც ასევე ადაპტირებულია ინკლუზიურ მოსწავლეებზეც.

სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი ინვენტარის წიგნის მიხედვით შეადგენს 450 წიგნად ერთეულს.

სკოლას ამჟამად აქვს 8 ინტერნეტ-ქსელში ჩართული კომპიუტერი (აქედან 3 ნეთბუქი), რომელთაგან 5 კომპიუტერი განთავსებულია კომპიუტერულ კლასში, 1 ბიბლიოთეკაში და 2 სამასწავლებლოში.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 90-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭიღლაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 90 მოსწავლისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლა კანდელისთვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 90-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლა კანდელს მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 90-ით.

11. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების სახელობის მართლმადიდებლური ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ხარვეზი არ დაფიქსირდა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 550-ით განსაზღვრა.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა, პეტრე წურწუმიამ, დაადასტურა, რომ ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების სახელობის მართლმადიდებლურ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლას შეეძლო 550 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების სახელობის მართლმადიდებლური ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების სახელობის მართლმადიდებლური ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 550-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა” ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების სახელობის მართლმადიდებლურ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლას მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 550-ით.

12. სპს - ცისიერ დიღმელაშვილის ქართულ-ფრანგული სკოლა ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნაზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 I, III და IV კლასებში ფრანგული ენის სახელმძღანელოები საფრანგეთიდანაა შემოტანილი და არ არის გრიფირებული, დანარჩენი კლასების სახელმძღვანელოები გრიფირებულია.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 სკოლას აქვს ცალკე გამოყოფილი საკლასო ოთახი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისათვის. ლაბორატორიული აღჭურვილობის ჩამონათვალი 80%-ით შეესაბამება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 9 აგვისტოს №572 ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამატრების თაობაზე რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ" დადგენილ პარამეტრებს.

2.2 დაწესებულებას წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე საკუთრებაში აქვს 5 კომპიუტერი, რომლებიც ინტერნეტში არ არის ჩართული. ინტერნეტთან წვდომა შესაძლებელია მხოლოდ ერთი მაგთიფიქსის ტელეფონით და მოდემის საშუალებით.

2.3 სკოლის ვებგვერდი - patardzeulisliceumi.ge. არ ფუნქციონირებს, ასევე ვიზიტის დროს სკოლის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი დომენისა და ჰოსტინგის ხელშეკრულებები.

2.4 სამედიცინო კაბინეტი არ არის, სკოლას არ ყავს პირველადი სამედიცინო დახმერების აღმოჩენაზე პასუხისმგებელი პირი.

2.5 წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ორ დარაჯთან, ხოლო სკოლის შიდა პერიმეტრზე წესრიგის დაცვა ხორციელდება დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებელთა და თანამშრომელთა მორიგეობის ცხრილით. სკოლას არ ყავს მანდატური.

2.6 სკოლას შპს "გლობალ ელექტრონიქსში" შეძენილი აქვს უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა სასაქონლო ზედნადებები, ინვოისი და აპარტურის სერტიფიკატი. წარმოდგენილი დოკუმენტაციით, მათ შორის ვერც შპს - „გლობალ ელექტრონიქსთან" ინტერვიუირებით ვერ დასტურდება უსაფრთხოების კამერების შესაბამისობა „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე

პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებთან.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

3.1 მესტვირიშვილ მაიას, ბუნების, მათემატიკის, ფიზიკისა და სამოქალაქო თავდაცვის პედაგოგს, აქვს ელექტრონული ტექნიკოსის, ინჟინრის კვალიფიკაცია.

თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლმა 1.1 შენიშვნასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ფრანგული ენის სახელმძღანელოები საფრანგეთიდანაა შემოტანილი და არ არის გრიფირებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. ამასთან, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამჟამად, პირველიდან მესამე კლასის ჩათვლით ფრანგული ენის არც ერთი სახელმძღვანელო არ არის გრიფირებული.

საბჭოს წევრმა, დავით კახნიაშვილმა, განაცხადა, რომ ფრანგული ენის სახელმძღვანელოების გრიფირება იწყება მეხუთე კლასიდან. ამასთან, დავით კახნიაშვილის განცხადებით, სკოლა ვალდებულია გამოიყენოს სახელმწიფოს მიერ გრიფირებული სახელმძღვანელოები.

2.1 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლამ შეიძინა დამატებით ლაბორატორიული აღჭურვილობა. ზეპირ მოსმენაზე მოხდა შეძენილი ლაბორატორიული აღჭურვილობის ჩამონათვალის წარმოდგენა. სხდომის თავჯდომარემ სთხოვა ექსპერტს, გადაემოწმებინა წარმოდგენილი დოკუმენტაცია. ექსპერტმა, ნონა ზუმბაძემ, დაადასტურა, რომ აღნიშნული ჩამონათვალის გათვალისწინებით ხარვეზი გამოსწორებულია.

2.2 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სოფელ პატარძეულში ზოგადად არსებობს პრობლემა ინტერნეტთან დაკავშირებით. შესაბამისად, სკოლა სარგებლობს მაგთიფიქსის მოდემით და ინტერნეტთან წვდომა აქვს ხუთიდან ორ კომპიუტერს. საბჭოს წევრმა, ლალი ღოღელიანმა, განაცხადა, რომ მისთვის ცნობილია სოფელ პატარძეულში არსებული ეს პრობლემა და მოუწოდა საბჭოს წევრებს მხედველობაში მიიღოთ არსებული რეალობა.

2.3 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლას ამ ეტაპზე უკვე გააჩნია ვებგვერდი. ზეპირ მოსმენაზე მოხდა ვებგვერდის გადამოწმება და დადასტურდა, რომ ვებგვერდი ფუნქციონირებს.

2.4 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ხარვეზი უკვე გამოსწორებულია და წარმოადგინა ექიმთან გაფორმებული ხელშეკრულება.

თავმჯდომარემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს წესრიგის დაცვის მექანიზმების თაობაზე. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, სკოლაში არსებობს მასწავლებელთა და თანამშრომელთა მორიგეობის ცხრილი, ასევე სკოლა სარგებლობს მანდატურის მომსახურებით. ზეპირ მოსმენაზე მოხდა მანდატურის სამსახურთან დადებული ხელშეკრულების წარმოდგენა.

2.6 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლას გააჩნია 4 კამერა, მათ შორის გარე პერიმეტრის კამერებს გააჩნია ღამის ხედვის რეჟიმი და შეესაბამება სტანდარტს. დაწესებულების მიერ ზეპირ მოსმენაზე წარმოდგენილ იქნა

დოკუმენტაცია, რომლითაც ვერ დადასტურდა კამერების შესაბამისობა სტანდარტით დადგენილ ტექნიკურ მახასიათებლებთან.

ექსპერტმა, ნონა ზუმბაძემ, განაცხადა, რომ შპს - ელიტ ელეტქრონიქსის წარმომადგენლის განმარტებით კამერები CE ნიშანდებულია და შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს.

თავმჯდომარემ განუმარტა საბჭოს წევრებს, რომ არსებული დოკუმენტების მიხედვით ვერ დგინდება კამერების შესაბამისობა სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან, თუმცა ამავდროულად ვერ დასტურდება ვერც შეუსაბამობის საკითხი. შესაბამისად, საბჭომ მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში საეჭვო ფაქტი უნდა შეფასდეს ავტორიზაციის მაძიებლის სასარგებლოდ, მითუფრო იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მონიტორინგის სამსახური უზრუნველყოფს დაწესებულების პირობების მატერიალური რესურსის სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმებას.

3.1 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლას ჰყავს ბუნებისა და სამოქალაქო თავდაცვის სხვა მასწავლებელიც. თავჯდომარემ მიმართა კითხვით ექსპერტს, ადასტურებდა თუ არა იგი დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებას. ექსპერტმა, ირინა დვალმა, დაადასტურა, რომ სკოლას ჰყავა ბუნებისა და სამოქალაქო თავდაცვის სხვა მასწავლებელი.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 100-ით განსაზღვრა.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა, პეტრე წურწუმიამ, დაადასტურა, რომ სპს - ცისიერ დიღმელაშვილის ქართულ-ფრანგულ სკოლა ლიცეუმს შეეძლო 100 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა სპს - ცისიერ დიღმელაშვილის ქართულ-ფრანგული სკოლა ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სპს - ცისიერ დიღმელაშვილის ქართულ-ფრანგული სკოლა ლიცეუმის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 100-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა” ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, სპს - ცისიერ დიღმელაშვილის ქართულ-ფრანგულ სკოლა ლიცეუმს მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 100-ით.

13. შპს - ივანე ჯავახიშვილის სახელობის ბორჯომის კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 შპს - ივანე ჯავახიშვილის სახელობის ბორჯომის კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა იჯარით ფლობს ერთ მისამართზე დაზუსტებული ფართობის 400 კვ.მ. სამსართულინი შენობის მე-2 და მე–3 სართულს 2018 წლამდე.

სკოლასთან ახლოს (რუსთაველის 101ა) განთავსებულია სპორტული დარბაზი (510.7 კვ.მ.), რომელსაც სკოლა იყენებს სპორტული გაკვეთილებისათვის. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლის მიერ გაფორმებული ხელშეკრულება არ იყო საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული.

1.2 სკოლას შპს - ჯეო დეკორთან გაფორებული აქვს ხელშეკრულება საბუნებისმეტყველო საგნების სასწავლო პროცესისათვის საჭირო ლაბორატორიის სრული კომპლექტის შესყიდვაზე და გადახდილი აქვს 4000 ლარი. საქონლის მიწოდების ბოლო ვადა არის 2012 წლის 31 მაისი.

1.3 ვიზიტის დროს ვებგვერდის სრულყოფის მიზნით მიმდინარეობდა რეკონსტრუქცია.

1.4 ვიზიტის დროს შემოწმდა კამერების ხილვადობა დღე–ღამის რეჟიმში.

დაწესებულებას დამატებით სურს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება.

დაწესებულება 400 კვ.მ.-ს იყენებს პირველ ცვლაში სასკოლო პროცესისათვის, ხოლო მეორე ცვლაში პროფესიული პროგრამების განხორციელებისათვის.

სკოლას დადებული აქვს ხელშეკრულება ი/მ გიორგი ანდრეევთან, რომელიც იღებს ვალდებულებას მასწავლებლის 9 მაგიდის, საკლასო ოთახებისათვის წიგნების 12 კარადის, 3 საოფისე მაგიდისა და 60 ერთადგილიანი მერხის დამზადებაზე (მატერიალური რესურსის განახლების მიზნით). იგეგმება აღნიშნული ინვენტარის გამოყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროცესისათვის.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, აღნიშნული სპორტული დარბაზის მეპატრონის საქართველოში არყოფნის გამო, ვერ მოხერხდა სკოლის მართლზომიერი მფლობელობის დადასტურება საჯარო რეესტრის ამონაწერით. მისი განცხადებით, სკოლის სახელით შეტანილი იქნა განცხადება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, რათა სკოლამ შეიძინოს სპორტული დარბაზი. სამინისტროს პასუხსზე დაყრდნობით, აღნიშნული საკითხი აუქციონის წესით უნდა მოგვარდეს.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტებინა სკოლის წარმომადგენელს, იმ ეტაპისათვის სკოლა ფლობდა თუ არა სპორტულ დარბაზს, რაზეც სკოლის დირექტორმა უარყოფითი პასუხი გასცა.

კამერებთან დაკავშირებულ შენიშვნაზე, სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ ის ასრულებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას და ხელშეკრულების პირობებისამებრ იხდიდა ნივთის საფასურს. წარმოდგენილი იქნა შემდგომი გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

წარმოდგენილი იქნა ხელშეკრულება კამერების შესყიდვის შესახებ, რომლის საგანსაც წარმოადგენდა „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესების შესაბამისი კამერის მიწოდება.

ვებგვერდის ფუნქციონირება გადამოწმდა სხდომის მიმდინარეობისას და იმ ეტაპისათვის იგი არ ასრულებდა საინფორმაციო ფუნქციას. თუმცა, ექსპერტ ნინო ბალანჩივაძის განცხადებით, ვიზიტის დროს საიტი ამ მხრივ გამართულად მუშაობდა.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტთან დააზუსტა, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან ექსპერტებს შენიშვნა არ დაუფიქსირებიათ.

ექსპერტის, ნინო ბალანჩივაძის, განცხადებით, დასკვნაში შენიშვნა არ ფიქსირდება.

შესვენება გამოცხადდა - 20:21
სხდომა განახლდა - 20:41

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს - ივანე ჯავახიშვილის სახელობის ბორჯომის კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

საბჭოს თავმჯდომარის, კახი ყურაშვილის, განცხადებით, ავტორიზაციის სტანდარტი სკოლას ავალდებულებს, რომ ჰქონდეს სპორტული დარბაზი. მისი განცხადებით, საბჭოსთვის მნიშვნელოვანია იურიდიული დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდება აღნიშნულის მართლზომიერი ფლობა. შესაბამისად, ავტორიზაციის დებულების თანახმად, ერთ-ერთი სტანდარტის დარღვევა არის ავტორიზაციაზე უარის თქმის საფუძველი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ივანე ჯავახიშვილის სახელობის ბორჯომის კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი -5

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ივანე ჯავახიშვილის სახელობის ბორჯომის კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

ავტორიზაციის საბჭოს წევრმა დავით კახნიაშვილმა დაწესებულების წარმომადგენლებს განუმარტა, რომ მართალია საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება შპს - ივანე ჯავახიშვილის სახელობის ბორჯომის კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მიმართ იყო უარყოფითი, თუმცა საბჭომ გაითვალისწინა დაწესებულებაში ჩარიცხული მოსწავლეების ინტერესები და მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, შპს - ივანე ჯავახიშვილის სახელობის ბორჯომის კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისთვის ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება ძალაში შევა მიმდინარე სასწავლო სემესტრის დამთავრების მომენტიდან.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, ის აღნიშნული სახის გადაწყვეტილებას არ ეთანხმება, რადგან მიაჩნია, რომ როდესაც საბჭო იღებს გადაწყვეტილებას ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ, აღნიშნული გადაწყვეტილების დაინტერესებული პირისათვის ჩაბარების მომენტიდან დაწესებულებამ უნდა შეწყვიტოს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება. თუმცა, ავტორიზაციის საბჭოს აქვს მსგავსი პრაქტიკა და შპს - ივანე ჯავახიშვილის სახელობის ბორჯომის კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისთვის ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება ძალაში შევა მიმდინარე სასწავლო სემესტრის დამთავრების მომენტიდან.

14. შპს - იტალიური სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 სკოლას აქვს 4 უსაფრთხოები ვიდეოკამერა, რომლითაც კონტროლდება შენობის შიდა და გარე პერიმეტრი. გარე პერიმეტრის ვიდეოკამერის შესაბამისობა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით დადგენილ პარამეტრებთან, კამერის ტექნიკური პასპორტის არქონის გამო, ვერ დადგინდა.

1.2 სკოლამ ექპერტთა ვიზიტის პერიოდში შპს - ,,ევრიკა-ზუსგან“ შეიძინა საბუნებისმეტყველო ლაბორატორია.

2. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

2.1 დაწყებით კლასებში ხელოვნაბას ასწავლის მე-4 კურსის სტუდენტი.

2.2 იტალიური ენის პედაგოგს გაგა შოთაძეს დამთავრებული აქვს ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. ასევე იტალიური ენის პედაგოგებს - მირანდა ქათამაძესა და მირანდა სიორიძეს მინიჭებული აქვთ ფრანგული ენის სპეციალისტის კვალიფიკაცია. აღნიშნული პედაგოგების პირად საქმეებში წარმოდგენილი იქნა იტალიური ენის ცოდნის დამდადასტურებელი სერტიფიკატები.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

1.1 შენიშვნაზე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლამ შეიძინა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით დადგენილი პარამეტრების შესაბამისი ვიდეოკამერა. აღნიშნულის დასადასტურებლად შპს - იტალიური სკოლის წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა 2012 წლის 21 მარტს შპს - ,,გლობალ ტექნოლოჯ გრუპთან“ ვიდეოკემერების შეძენის თაობაზე დადებული ხელშეკრულება.

1.2 შენიშვნასთან დაკავშირებით ავტორიზაციის ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ სკოლის მიერ შეძენილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვილობა შეესაბამებოდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის

2011 წლის 09 აგვისტოს №572 ბრძანებით განსაზღვრულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსების პარამეტრებს.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა სკოლას სხვა ხელოვნების საგნის პედაგოგი. ავტორიზაციის ექსპერტმა ლიანა ჩარკვიანმა განმარტა, რომ შპს - იტალიურ სკოლას დამატებით კიდევ ჰყავდა ხელოვნების საგნის პედაგოგი. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში აღნიშნული მე-4 კურსის სტუდენტი ასრულებდა ხელოვნების პედაგოგის ასისტენტის ფუნქციას და დამოუკდებლად არ წარმართავდა პედაგოგიურ საქმიანობას.

2.2 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს მოახსენა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემულ პედაგოგებს ჰქონდათ იტალიური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატები, რომლებიც გაცემული იყო ქ. პერუჯის უნივერსიტეტის მიერ. ავტორიზაციის საბჭოს წევრმა დავით კახნიაშვილმა განმარტა, რომ სკოლაში პედაგოგად მუშაობის უფლება აქვს შესაბამის სფეროში უმაღლესი განათლების მქონე პირს. წარმოდგენილი სერტიფიკატები კი ადასტურებენ მხოლოდ აღნიშნული პირების მიერ იტალიური ენის ცოდნის ფაქტს და არ ანიჭებდნენ იტალიური ენის პედაგოგის კვალიფიკაციას.

კახი ყურაშვილმა კითხვით მიმართა ავტორიზაციის ექსპერტს, ჰყავდა თუ არა შპს - იტალიურ სკოლას სხვა იტალიური ენის პედაგოგები. ავტორიზაციის ექსპერტმა ლიანა ჩარკვიანმა დაადასტურა, რომ სკოლას ასევე ჰყავდა სხვა იტალიური ენის პედაგოგები.

სკოლის დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა დოკუმენტაცია, რომლის მიხედვითაც დაწესებულებას შეკვეთილი ჰქონდა დამატებითი სასკოლო მერხების დამზადება. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილ ხელშეკრულებაში მოცემული არ იყო ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენი ინდივიდუალური მერხი უნდა დაემზადებინა სკოლისთვის ინდ. მეწარმე ზურაბ ფოთელიძეს. მომხსენებელმა ასევე განმარტა, რომ ხელშეკრულების მიხედვით, შესრულებული მომსახურების საფასური იყო 6700 ლარი, საიდანაც სკოლას გადახდილი ჰქონდა 500 ლარი.

ავტორიზაციის ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ სკოლაში არსებული მერხების რაოდენოს გათვალისწინებით, დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 102 მოსწავლისთვის.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 150-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭიღლაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი არ დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 102 მოსწავლისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - იტალიური სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 102-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა” ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - იტალიურ სკოლას მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 102-ით.

15. შპს - ქართული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნაზე.

1. **მატერიალურ რესურსთან მიმართებით:**

1.1 დაწესებულებას აქვს შემდეგი სპორტული ინვენტარი: ბურთები, ჭადრაკისა და შაშის დაფები, ფრენბურთის ბადე. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება მესხის ქუჩა N8-ში მდებარე (დაახლოებით 200 მეტრის დაშორებით) სპორტული მოედნით დროებით სარგებლობაზე, დაწესებულების ეზოში მიმდინარეობს ღია ტიპის სპორტული მოედნის მშენებლობა, დირექტორის განმარტებით იგეგმება სპორტული დარბაზის მოწყობას.

თავჯდომარემ აღნიშნა, რომ ვინაიდან დაწესებულებას კანონმდებლობით დადგენილი წესით აქვს გაფორმებული ხელშეკრულება სპორტული მოედნით დროებით სარგებლობაზე, სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 250-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა, პეტრე წურწუმიამ, განაცხადა, რომ არსებული ფართის გათვალისწინებით, შპს - ქართულ სკოლას შეეძლო 200 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა შპს - ქართული სკოლის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ქართული სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა” ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ქართულ სკოლას მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200-ით.

16. შპს - ხერხემის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნაზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 სკოლაში დაწყებით კლასებში დაფიქსირდა 10 ქულიანი შეფასება, რაც არ შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგემის მოთხოვნებს.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 შპს - „ხერხემის“ კერძო სკოლა ფუნქციონირებს ქ. ახალციხეში, დიდიმამიშვილის ქ. N3-ში მდებარე ორსართულიან შენობაში. 2007 წლის 1 აგვისტოს 7 წლის ვადით, გაფორმებულია საიჯარო ხელშეკრულება, რის მიხედვითაც, იჯარით გასაცემი შენობის მთლიანი ფართობი შეადგენს 400 კვ.მ.-ს, შენობის ტექნიკური პასპორტის მიხედვით შენობის ორივე სართულის საერთო ფართობი შეადგენს 673,2 კვ.მ.-ს (განაშენიანობის ფართია 450 კვ.მ.), სკოლამ ვერ წარმოადგინა აზომვითი ნახაზი, რის მიხედვითაც მოხდებოდა გამიჯვნა. აღსანიშნავია ისიც, რომ არ არის თანხვედრა საიჯარო ფართის რაოდენობაში საჯარო რეესტრის ამონაწერშიც, სადაც იჯარის საგნად მითითებულია 450 კვ.მ.

2.2 ბიბლიოთეკაში დაწყებულია წიგნებისთვის ახალი საინვენტარო ნომრის მინიჭება და ბეჭდით დამუშავება.

2.3 შენობაში არც ერთი სველი წერტილი არა არის ადაპტირებული სსსმ მოსწავლისათვის, თუმცა ვიზიტის დროს დაიწყო ერთ-ერთის ადაპტირება სსსმ მოსწავლის საჭიროებაზე. სკოლამ წარმოადგინა საჭირო მასალის შესყიდვის დოკუმენტაცია.

2.4 სკოლას არ აქვს გაფორმებული ხელშეკრულება სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან.

2.5 გარე პერიმეტრისთვის სკოლას აქვს კამერა, რომლის პარამეტრები წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან, მხოლოდ მიღება–ჩაბარების აქტიდან ირკვევა, რომ შესაბამისია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრული ვიდეომეთვალყურეობის სისტემების ტექნიკური პარამეტრების.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებულ შენიშვნაზე, დაწესებულების წარმომადგენლმა განაცხადა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმისგან განსხვავებული შეფასება

ხორციელდებოდა მასწავლებლების მიერ თავიანთ აღრიცხვის დოკუმენტში, მაგრამ აღნიშნული შეფასებებით სემესტრული შედეგი არ გამოჰყავდათ.

ექსპერტის, ნოდარ ანგურიძის, განცხადებით, ზემოაღნიშნული შეფასება ასახული იყო ჟურნალებში და ჰქონდა მიმდინარე ნიშნის სტატუსი და დაადასტურა სკოლის დირექტორის ნათქვამი, რომ სემესტრული შეფასება, ამ მონაცემებზე დაყრდონობით არ გამოჰყავდათ.

საბჭოს წევრის, დავით კახნიაშვილის, განცხადებით, ჟურნალი არის მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი, რომელიც უნდა შეივსოს დადგენილი წესით და დაუშვებელია მასში ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი შეფასებების ჩაწერა. თუმცა, მან, აგრეთვე, განმარტა, რომ ამ შემთხვევაში, რადგან სემესტრული შედეგები არ ეყრდნობოდა ზემოაღნიშნულ შეფასების სახეს, შეიძლებოდა არაასებით შენიშვნად ჩათვლილიყო.

საბჭომ მსჯელობის საფუძველზე არ გაიზიარა აღნიშნული შენიშვნა, თუმცა სკოლის დირექტორს გაფრთხილება მისცა, რომ დაეცვა მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტის წარმოების წესი.

ფართთან დაკავშირებულ შენიშვნაზე, სკოლის წარმომადგენელმა საბჭოს წარუდგინა ახალი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლის მიხედვითაც, დაწესებულება ფლობს 694.60 კვ.მ -ს.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა სკოლის დირექტორს, დაასრულეს თუ არა ბიბლიოთეკაში წიგნების სათანადო წესით დამუშავება.

სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, აღნიშნული პროცესი დასრულებულია.

ექსპერტის განმარტებით, აღნიშნულ შენიშვნაში საუბარია იყო მუნიციპალიტეტის მიერ სკოლისათვის გადაცემულ ახალ წიგნებზე და აღნიშნა, რომ თავად სკოლას ჰქონდა სათანადო წესით დამუშავებული წიგნები ბიბლიოთეკაში.

სკოლის დირექტორმა საბჭოს წევრებს წარუდგინა ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობის დამადასტურებელი ფოტომასალა. საბჭომ აღნიშნული ხარვეზი მოხსნა.

სკოლამ, აგრეთვე, წარმოადგინა სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულება, ხოლო კამერებთან დაკავშირებულ ხარვეზზე, წარმოდგენილი იქნა კამერების ტექნიკური მახასიათებლები.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოდგენა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 160-ით განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ სკოლა, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლას, მერხების რაოდენობის გათვალისწინებით, შეუძლია 158 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

სკოლის დირექტორმა საბჭოს წარუდგინა ორი ინდივიდუალური მერხის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. აღნიშნულის გათვალისწინებით, ცენტრმა თანხმობა განაცხადა 160 მოსწავლეზე.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს - ხერხემის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ხერხემის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 160-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა” ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ხერხემს მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 160-ით.

17. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქო, ზუგდიდის წმინდა გიორგის სახელობის გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ხარვეზი არ დაფიქსირდა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 520-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა, პეტრე წურწუმიამ, დაადასტურა, რომ ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქო, ზუგდიდის წმინდა გიორგის სახელობის გიმნაზიას შეეძლო 520 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქო, ზუგდიდის წმინდა გიორგის სახელობის გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქო, ზუგდიდის წმინდა გიორგის სახელობის გიმნაზიის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 520-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა” ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქო, ზუგდიდის

წმინდა გიორგის სახელობის გიმნაზიას მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 520-ით.

18. ა(ა)იპ - საერთაშორისო ასოციაცია ინტელექტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ხარვეზი არ დაფიქსირდა.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოდგენა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 145-ით განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ სკოლა, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლას შეუძლია 145 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან ა(ა)იპ - საერთაშორისო ასოციაცია ინტელექტის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საერთაშორისო ასოციაცია ინტელექტის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 145-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა” ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - საერთაშორისო ასოციაცია ინტელექტს მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 145-ით.

19. შპს - „ალსოს“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 სკოლის სასკოლო საათობრივი ბადე ნაწილობრივ შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. კერძოდ, მე-10 კლასის სასკოლო საათობრივ ბადეში არ არის მითითებული ქიმია.

1.2 სკოლის მიერ დარღვეულია აჩევითი საგნების არჩევითობის პრინციპი. სკოლის საათობრივი ბადის მიხედვით მე-11 კლასში არჩევითის სტატუსით ტარდება მსოფლიო კულტურა (1 საათი) და ბიოლოგია (2 საათი). თუმცა, ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ბიოლოგია მე-11 კლასში, როგორც არჩევითი საგანი, არ განიხილება. მე-12 კლასში სკოლას არჩეული აქვს გერმანული. ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, მე-12 კლასში მოსწავლე უნდა ირჩევდეს ნებისმიერ ერთ საგანს (განსხვავებულს იმისგან რაც იყო არჩეული მე-11 კლასში) 3 ბლოკიდან. შესაბამისად, სკოლას არჩეული არა აქვს საგნები იმ არჩევითი საგნების ჯგუფებიდან, რომელსაც ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმა.

1.3 დაწესებულების მიერ შემუშავებული არცერთი დოკუმენტიდან არ ჩანს, თუ როგორ ხდება მოსწავლეებისათვის შეფასების კრიტერიუმების გაცნობა და შედეგების გამოყენება მათი აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად. შესაბამისად, კლასებში არ არის გამოკრული შეფასების კრიტერიუმები ან/და რუბრიკები. ზოგიერთი გაკვეთილის გეგმის ბოლოს არის მითითებული აკადემიური შეფასების კომპონენტები და მათი წონები (პროცენტები). აღნიშნული მიანიშნებს იმაზე, რომ სკოლაში მოქმედებს შეფასების ძველი სისტემა. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით კი შეფასების სამივე კომპონენტს ერთნაირი წონა უნდა ჰქონდეს.

1.4 სკოლამ ვერ წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 სკოლამ ფიზიკური პირისაგან შეიძინა ქიმიის ლაბორატორია. ფიზიკისა და ბიოლოგიის ლაბორატორიები დაწესებულებამ მიიღო ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე. აღნიშნული ლაბორატორიების 81% შეესაბამება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის №572 ბრძანებით დადგენილ პარამეტრებს.

2.2 საკლასო ოთახების უმეტესობას აქვს მეორადი განათება.

2.3 სკოლის ბიბლიოთეკა განთავსებულია შენობის დერეფანში. სკოლის ბიბლიოთეკაში არ არის საინვენტარო წიგნი, წიგნების გატანისა და დაბრუნების აღრიცხვის ჟურნალი, მკითხველთა ფორმულარები.

2.4 დაწესებულებას სსსმ მოსწავლეთათვის არა აქვს ადაპტირებული სველი წერტილი.

2.5 სკოლას აქვს 1 გარე და 1 შიდა პერიმეტრის კონტროლის ვიდეომეთვალყურეობის კამერა. აღნიშნული კამერებით კონტროლდება მხოლოდ მეორე სართულის დერეფანი. არ კონტროლდება სკოლის შესასვლელი, რომელიც დაწესებულებას აქვს საერთოა სხვა ორგანიზაციასთან. გარე ვიდეოკამერის პარამეტრები არ შეესაბამება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

3.1 გეოგრაფიის პედაგოგს შეთავსებული აქვს საგზაო ნიშნების სწავლება, თუმცა მას არა აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების შემთხვევაში, შპს - ალსოს სურვილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-13 მუხლის საფუძველზე დამატებით განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებით, მიზანშეწონილი იყო, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავდაპირველად ესმჯელა შპს - ალსოსთვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მინიჭებაზე და თუ კი დაწესებულებას მიენიჭებოდა ავტორიზაცია, ამის შემდგომ განიხილავდა საბჭო დაწესებულების პირობების შესაბამისობას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილების ნაწილში. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარა ავტორიზაციის საბჭოს ყველა დამსწრე წევრმა.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

1.1 შენიშვნასთან დაკავშირებით სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ სასკოლო საათობრივ ბადეში მითითებული იყო ქიმია. ავტორიზაციის ექსპერტმა ნინო ფეტვიაშვილმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს მე-10 კლასის სასკოლო საათობრივ ბადეში არ იყო მოცემული ქიმია. აღნიშნულის დასადასტურებლად მან ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა ავტორიზაციის ექპერტების მიერ, ვიზიტის დროს, დანართის სახით წამოღებული საათობრივი ბადე. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, მე-10 კლასის საათობრივ ბადეში ტექნიკური შეცდომის გამო ჰქონდათ გამორჩენილი ქიმია. დაწესებულების წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა სკოლის საათობრივი ბადე, სადაც აღნიშნული შენიშვნა იყო გამოსწორებული. ავტორიზაციის ექპერტის ნინო ფეტვიაშვილის მიერ ადგილზე გადამოწმების შედეგად დადგინა, რომ 1.1 ხარვეზი იყო გამოსწორებული. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ მოცემული შენიშვნა მოხსნა.

1.2 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მე-11 კლასში ბიოლოგიას ასწავლიდნენ მოსწავლეთა მოთხოვნით, როგორც დამატებით საგანს. ნინო ფეტვიაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას უფლება ჰქონდა მოცემული საგანი ესწავლებინა, როგორც დამატებითი და არა, როგორც არჩევითი საგანი, ვინაიდან ეროვნული სასწავლო გეგმა ბიოლოგიას არჩევით საგნად არ ითვალისწინებს. ავტორიზაციის ექსპერტმა დამატებით

განმარტა, რომ მე-12 კლასში სკოლას არჩეული არ ჰქონდა საგნები იმ არჩევითი საგნების ჯგუფებიდან, რომელსაც ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმა.

სკოლის წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს მოახსენა, რომ იზიარებდნენ 1.3 შენიშვნას და უკვე გამოსწორებული ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ როდის მოხდა აღნიშნული შენიშვნის გამოსწორება. დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ მოცემული ხარვეზი გამოასწორეს ავტორიზაციის ექპერტთა ჯგუფის ვიზიტის დასრულების შემდგომ.

1.4 შენიშვნაზე სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ მოცემული ხარვეზი გამოსწორებული იყო ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დასრულების შემდგომ.

2.1 შენიშვნაზე დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის №572 ბრძანებით დადგენილი პარამეტრების შესაბამის ლაბორატორიას შეიძენდნენ მომავალში. ავტორიზაციის ექსპერტის ნინო ფეტვიაშვილის განმარტებით, სკოლაში არსებული საბუნებისმეტყველო ლაბორატორია არ შეესაბამებოდა აღნიშნული ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებს.

2.2 ხარვეზთან დაკავშირებით ნინო ფეტვიაშვილმა განმარტა, რომ საკლასო ოთახებში ბუნებრივი განათება აღწევდა შუშაბანდის გავლით. სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საკლასო ოთახებში სინათლე შედიოდა დერეფნის გავლით. ავტორიზაციის საბჭოს წევრის დავით კახნიაშვილის მოსაზრებით, საკლასო ოთახებს უნდა ჰქონდეთ ბუნებრივი განათება.

2.3 შენიშვნაზე სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ ოთახში, სადაც განთავსებული იყო ბიბლიოთეკა, მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები. შესაბამისად, ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში ბიბლიოთეკა განთავსებული იყო სკოლის დერეფანში. სკოლის დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნი.

2.4 შენიშვნაზე დაწესებულების წარმომადგენელმა წარმოადგინა ადაპტირებული სველი წერტილის ამსახველი ფოტომასალა. ავტორიზაციის ექსპერტმა ნინო ფეტვიაშვილმა ადგილზე გადამოწმებით დაადგინა, რომ შპს - ,,ალსოს“ სსსმ მოსწავლეთათვის დამონტაჟებული ჰქონდა ადაპტირებული სველი წერტილი.

უსაფრთხოების კამერებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა შპს - ,,ჯორჯიან აიტი გრუპის“ მიერ გაცემული დოკუმენტი, რომლის თანახმადაც სკოლაში დამონტაჟებული გარე პერიმეტრის კამერა შეესაბამებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს. ავტორიზაციის ექსპერტმა ნინო ფეტვიაშვილმა განმარტა, რომ პირველი სართული, სადაც განთავსებული იყო სკოლის ბიბლიოთეკა კომპიუტერიული ტექნოლოგიების კლასი, უსაფრთხოების კამერებით არ კონტროლდებოდა.

3.1 შენიშვნაზე დაწესებულების დირექტორმა განმარტა, რომ აღნიშნულ მასწავლებელს ჰქონდა საკმარისი გამოცდილება, რათა ესწავლებინა საგზაო ნიშნებისა და მოძრაობის უსაფრთხოება. დავით კახნიაშვილმა განმარტა, რომ აღნიშნული საგანი სკოლებისთვის იყო ახალი და შესაბამისად ამ ეტაპზე შეუძლებელი იყო აღნიშნული საგნის კვალიფიციური პედაგოგის მოძიება.

კახი ყურაშვილმა განმარტა, რომ ავტორიზაციის საბჭოს შეუძლია შეისწავლოს არაარსებითი ხარვეზების გამოსწორების საკითხი და გამოსწორებულად ჩათვალოს მხოლოდ ისეთი არაარსებითი ხარვეზები, რომელთა გამოსწორების დადასტურებაც ამავე საბჭოს სხდომაზე დამაჯერებლად და მარტივად, საექსპერტო ვიზიტის განხორციელების გარეშე, დოკუმენტური შემოწმებითაც შეუძლია ავტორიზაციის ექსპერტსა და თავად საბჭოს შემადგენლობას. მოცემულ შემთხვევაში, კი საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებით,

ავტორიზაციის ექპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნები იყო არსებითი ხასიათის. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარა ავტორიზაციის საბჭოს ყველა დამსწრე წევრმა.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ,,ალსოს“ ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ,,ალსოს“ უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

ავტორიზაციის საბჭოს წევრმა დავით კახნიაშვილმა დაწესებულების წარმომადგენლებს განუმარტა, რომ მართალია საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიოზაციის საბჭოს გადაწყვეტილება შპს - ,,ალსოს“ მიმართ იყო უარყოფითი, თუმცა საბჭომ გაითვალისწინა დაწესებულებაში ჩარიცხული მოსწავლეების ინტერესები და მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, შპს - ,,ალსოსთვის“ ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება ძალაში შევა მიმდინარე სასწავლო სემესტრის დამთავრების მომენტიდან.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, ის აღნიშნული სახის გადაწყვეტილებას არ ეთანხმება, რადგან მიაჩნია, რომ როდესაც საბჭოს იღებს გადაწყვეტილებას ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ, აღნიშნული გადაწყვეტილების დაინტერესებული პირისათვის ჩაბარების მომენტიდან დაწესებულებამ უნდა შეწყვიტოს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება. თუმცა, ავტორიზაციის საბჭოს აქვს მსგავსი პრაქტიკა და შპს - ,,ალსოსთვის“ ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება ძალაში შევა მიმდინარე სასწავლო სემესტრის დამთავრების მომენტიდან.

20. შპს - არასახელმწიფო ინტეგრირებული სკოლა ბაღი-ბალავარის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 სკოლა ფუნქციონირებს ქ. რუსთავში VII მკ. რ-ის ყოფილი №30 ბაგა-ბაღის ორსართულიან შენობაში. შენობის პირველი სართული მთლიანად და მეორე სართულის ნაწილი სკოლის განკარგულებშია. აღნიშნული ფართი არ არის დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში.

1.2 სკოლას, 2012 წლის 21 თებერვალს ფ/პ მიხეილ ფიცხელაურისგან (პ/ნ 35001021786) შეძენილი აქვს ლაბორატორიის გარკვეული რაოდენობა, სულ 64 ერთეული, რომელიც არ შეესაბამება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 9 აგვისტოს № 572 ბრძანებით დადგენილ რეკომენდაციებს.

1.3 სკოლას გაფორმებული არ აქვს ხელშეკრულება სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წარუდგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რითაც დაადასტურა 671.42 კვ.მ. - ის ფართის მართლზომიერი მფლობელობა.

ლაბორატორიასთან დაკავშირებულ შენიშნაზე, სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ის იზიარებს აღნიშნულ ხარვეზს და განაცხადა, რომ სკოლა, ეტაპოპრივად გეგმავს ლაბორატორიის შევსებას. მან საბჭოს სთხოვა გაეთვალისწინებინა ის გარემოება, რომ სკოლა დაწყებით და საბაზო საფეხურებზე ახორციელებლდა სწავლებას და ლაბორატორიის სრული აღჭურვილობა არ ესაჭიროებოდა და შეახსენა, რომ სკოლა ინტეგრირებული სწავლების მხრივ იყო ორიენტირებული და მრავალად ჰყავდა სპეციალური საგანამანთლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები. სკოლის წარმომადგენელმა, აგრეთვე, განაცხადა, რომ სკოლა სსიპ - საგანმანათლებლოს დაწესებულების მანდატურის სამსახურთან ხელშეკრულების გაფორმებას გეგმავდა ავტორიზაციის მინიჭების შემდგომ.

ცენტრის დირექტორის პირველი მოადგილის, პეტრე წურწუმიას, განცხადებით, დაწესებულებას შეეძლო გაეფორმებინა აღნიშნულ სამსახურთან ხელშეკრულება და მისი ძალაში შესვლის პირობად მიეთითებინა ავტორიზაციის მინიჭება.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, სკოლას კვლავ დარჩა ლაბორატორიასთან და სკოლის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ხარვეზები.

სკოლის თავმჯდომარემ საბჭოს სთხოვა გაეთვალისწინებინა სკოლის სპეციფიკა და ითხოვა დამატებითი ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად.

საბჭოს თავმჯდომარის, კახი ყურაშვილის, განმარტებით, ხარვეზების გამოსასწორებლად ვადა მიეცემა დაწესებულებას მაშინ, როდესაც ცენტრი, თავისი ინიციატივით იწყებს სკოლის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გადამოწმებას. ხოლო მაშინ, როდესაც წარმოების ინიციატორი განმცხადებელია და ნებაყოფლობით სურს საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვება, ხარვეზების გამოსწორებისათვის ვადის მიცემა არ ხდება, არამედ, პირიქით, საბჭო, ავტორიზაციის დებულებიდან გამომდინარე, შეზღუდულია ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს არსებული გარემოებებით. მან, აგრეთვე, განმარტა, რომ საქართველოს ზოგადო ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 მუხლი ავალდებულებს კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის დაცვას და უკრძალავს იდენტური საქმის გარემოებების არსებობისას განსხვავებული გადაწყვეტილების მიღებას.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს - არასახელმწიფო ინტეგრირებული სკოლა ბაღი-ბალავარის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - არასახელმწიფო ინტეგრირებული სკოლა ბაღი-ბალავარის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - არასახელმწიფო ინტეგრირებულ სკოლა ბაღ-ბალავარს უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

ავტორიზაციის საბჭოს წევრმა დავით კახნიაშვილმა დაწესებულების წარმომადგენლებს განუმარტა, რომ მართალია საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიოზაციის საბჭოს გადაწყვეტილება შპს - არასახელმწიფო ინტეგრირებული სკოლა ბაღი-ბალავარის მიმართ იყო უარყოფითი, თუმცა საბჭომ გაითვალისწინა დაწესებულებაში ჩარიცხული მოსწავლეების ინტერესები და მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, შპს - არასახელმწიფო ინტეგრირებული სკოლა ბაღი-ბალავარისთვის ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება ძალაში შევა მიმდინარე სასწავლო სემესტრის დამთავრების მომენტიდან.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, ის აღნიშნული სახის გადაწყვეტილებას არ ეთანხმება, რადგან მიაჩნია, რომ როდესაც საბჭოს იღებს გადაწყვეტილებას ავტორიზაციაზე

უარის თქმის შესახებ, აღნიშნული გადაწყვეტილების დაინტერესებული პირისათვის ჩაბარების მომენტიდან დაწესებულებამ უნდა შეწყვიტოს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება. თუმცა, ავტორიზაციის საბჭოს აქვს მსგავსი პრაქტიკა და შპს - არასახელმწიფო ინტეგრირებული სკოლა ბაღი-ბალავარისთვის ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება ძალაში შევა მიმდინარე სასწავლო სემესტრის დამთავრების მომენტიდან.

21. შპს - ოლიმპი თბილისი + - ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლამ ვერ წარმოადგინა დომენური სახელის, ვებ ჰოსტინგის ფლობის შესახებ დოკუმენტაცია.

1.2 სკოლის გარეპერიმეტრის კონტროლის კამერები შეესაბამება თუ არა „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს, ვერ დადგინდა, რადგან სკოლამ ვერ წარმოადგინა მათი პარამეტრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

სკოლის წარმომადგენელმა საბჭოს წარუდგინა ვებ გვერდის დომენური სახელისა და ჰოსტინგის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რის საფუძველზედაც საბჭომ შენიშვნა მოხსნა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, საბჭოს წარუდგინა „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესების შესაბამისი ორი კამერის შესყიდვის დოკუმენტაცია და ფოტომასალა, რომლითაც დასტურდება კამერების დამონტაჟების ფაქტი.

სკოლის წარმომადგენელმა საბჭოს წარუდგინა დამატებით 5 კომპიუტერის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაციაც.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოდგენა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის

გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 500-ით განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ სკოლა, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლას, შეუძლია 500 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს - ოლიმპი თბილისი + - ის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ოლიმპი თბილისი + - ის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 500-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა” ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ოლიმპი თბილისი + - სს მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 500-ით.

22. შპს - ეროვნული სკოლა გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა განხილული და დამტკიცებულია სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2011 წლის 20 სექტემბრის №1 სხდომაზე. სკოლამ სწავლება დაიწყო 2011 წლის 3 ოქტომბერს, თუმცა წარმოადგინა გაცდენილი საათების აღდგენის გრაფიკი შაბათის ხარჯზე.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 შპს - ეროვნული სკოლა გიმნაზია მდებარეობს ქ. ქუთაისში, თაბუკაშვილის ქ. 4 ში. 2011 წლის 1 თებერვალს დადებული იჯარის ხელშეკრულებით, ათი წლის ვადით ფლობს სამ სართულიან შენობას. 900 კვ.მ სასწავლო ფართს, (750 პირველ სართულზე, 150 მეორეზე), რომელიც საჯარო რეესტრში არ არის რეგისტრირებული.

2.2 სკოლას ჩუქებით მიღებული აქვს ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის ლაბორატორიის გარკვეული ნაწილი, რომელიც ნაწილობრივ შეესაბამება რეკომენდაციებში მოცემულ ჩამონათვალს.

2.3 სკოლას არ აქვს ადაპტირებული სველი წერტილი.

2.4 ბიბლიოთეკაში არ იყო წარმოდგენილი მე–7 კლასში ინგლისურის, მათემატიკის, ბიოლოგიის, გეოგრაფიის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სახელმძღვანელოები, მე–8 კლასში ინგლისურის, მათემატიკის, გეოგრაფიის, ფიზიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოების სახელმძღვანელოები, მე–9კლასში ინგლისურის, მათემატიკის, გეოგრაფიის, ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოების სახელმძღვანელოები, მე–10 კლასში გეოგრაფიის, ისტორია, ფიზიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის სახელმძღვანელოები, მე–11 კლასში ფიზიკისა და ინგლისურის სახელმძღვანელოები, მე–12 კლასში ქართული ენის, მათემატიკის, გეოგრაფიის, ეკონომიკის, ფიზიკის, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოების სახელმძღვანელოები.

2.5 სკოლას არ აქვს გარეპერიმეტრის კონსტოლისათვის კამერები.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

სკოლის დირექტორის განცხადებით, გაცდენილი პერიოდის აღდგენა სკოლას დოკუმენტურად აქვს გაწერილი.

საბჭოს წევრის, დავით კახნიაშვილის, განცხადებით კერძო სკოლას ამის უფლება ჰქონდა. საბჭომ გაიზიარა აღნიშნული მოსაზრება და მოხსნა შენიშვნა.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წარუდგინა იჯარის ხელშეკრულება და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რითაც დაადასტურა 3551 კვ.მ. ფართის მართლზომიერი მფლობელობა. თუმცა, საჯარო რეესტრის ამონაწერში არ იყო დაფიქსირებული შპს - ეროვნული სკოლა გიმნაზია მოიჯარედ.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, საჯარო რეესტრში წარმოება დასრულდა ხარვეზით, რომელიც უახლოეს დღეებში გასწორდება.

საბჭოს თავმჯდომარემ შეისწავლა იჯარის ხელშეკრულება და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და დაადგინა, რომ ხელშეკრულბის გაფორმების თარიღი, მოქმედების ვადა და საგანი ემთხვევა ერთმანეთს. საბჭომ მიიჩნია, რომ აღნიშნული ხარვეზი აღმოფხვრილია.

ლაბორატორიასთან დაკავშირებულ შენიშვნაზე, სკოლის დირექტორმა წარმოადგინა შპს - ინსტა ჯორჯიასთან გაფორმებული ხელშეკრულება ლაბორატორიის სრული აღჭურვილობის შესყიდვის შესახებ და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

სკოლის დირექტორმა საბჭოს წარუდგინა ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობისათვის საჭირო მასალის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, თუმცა არ იქნა წარმოდგენილი ფოტომასალა.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წარუდგინა ექსპერტთა დასკვნაში ბიბლიოთეკასთან დაკავშირებულ შენიშვნაში ჩამოთვლილი თითოეული წიგნის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. საბჭომ ხარვეზი გამოსწორებულად მიიჩნია.

კამერებთან დაკავშირებით, სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ ის არ ფლობს დოკუმენტს, რომელიც აღნიშნული კამერების ტექნიკური მახასიათებლების დადგენის საშუალებას მიცემდა მათ.

საბჭოს წევრის, დავით კახნიაშვილის, განცხადებით, რადგან დაწესებულებას ვერ უდასტურდება კამერების კანონმდებლობასთან შესაბამისობის ფაქტი და პირიქით, ვერც ის დასტურდება, რომ არ შეესაბამება, ამდენად, მას მიაჩნია, რომ აღნიშნული საკითხი მხარის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს. ამასთანავე, მან განაცხადა, რომ არსებობს მონიტორინგის სამსახური, რომელიც ნებისმიერ დროს გადაამოწმებს აღნიშნულს და იმ დროისათვის დაწესებულებას უნდა ჰქონდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისიწნებული კამერები.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოდგენა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 50-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ სკოლა, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლას, შეუძლია 50 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს - ეროვნული სკოლა გიმნაზიის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ეროვნული სკოლა გიმნაზიის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 50-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა” ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ეროვნულ სკოლა გიმნაზიას მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 50-ით.

23. შპს - ჯი-ვი-ენის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნაზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 წარმოდგენილი სასწავლო პროგრამები პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოთხოვნებს გარდა სპორტის პროგრამისა. შპს - სკოლა „ჯი-ვი-ენ“-ის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე სკოლა სპორტის სახეობად ირჩევს ჭადრაკს მაგიდის ჩოგბურთთან შეთავსებით, თუმცა არ იქნა წარმოდგენილი მაგიდის ჩოგბურთის სასწავლო პროგრამა.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

2.1 სკოლაში არის პირველადი დახმარებისთვის საჭირო მცირე აფთიაქი, სამედიცინო მომსახურეობა ევალება დამლაგებელს, რომელსაც გააჩნია მედდის კვალიფიკაცია;

2.2 დაწესებულებას მანდატური არ ჰყავს;

2.3 გარე კამერის მონაცემები არ შეესაბამება სტანდარტს.

თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლმა 1.1 შენიშვნასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სკოლას მართლაც აქვს არჩეული სპორტის სახეობად ჭადრაკი და მაგიდის ჩოგბურთი. ამასთან, წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ სკოლას არ გააჩნდა მაგიდის ჩოგბურთის სასწავლო პროგრამა.

2.1 შენიშვნასთან დაკავშირებით, საბჭომ განმარტა, რომ ვინაიდან დამლაგებელს გააჩნია მედდის კვალიფიკაცია, შეთავსებითი საქმიანობა ამ შემთხვევაში პრობლემას არ წარმოადგენს. შესაბამისად, საბჭომ მოხსნა 2.1 შენიშვნა.

2.2 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლა გეგმავს გამოყოს ცალკე ოთახი მანდატურისათვის და შესაბამისად, ისარგებლობს მანდატურის სამსახურის მომსახურებით. თავჯდომარემ განუმარტა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ საბჭოსათვის მნიშვნელოვანი იყო არა სამომავლო პერსპექტივა, არამედ არსებული რეალობა.

2.3 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა მიერ კამერების სტანდარტით დადგენილ პარამეტრებთან შეუსაბამობის დადგენა, მოხდა მხოლოდ კამერების ფასის გამო. ექსპერტმა, ნელი ნასყიდაშვილმა, საბჭოს განუმარტა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს დაწესებულების მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი კამერების ტექნიკური მახასიათებლების ამსახველი დოკუმენტაცია, ხოლო იმ დოკუმენტაბზე დაყრდნობით რომლის წარმოდგენაც მოხდა, კამერები არ შეესაბამებოდა სტანდარტთი დადგენილ მოთხოვნებს. ამასთან, ექსპერტმა აღნიშნა, რომ კამერების სტანდარტთან შესაბამისობა ვერც გამსხვისებელმა კომპანიამ დაადასტურა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლა უახლოეს მომავალში იზრუნებდა კამერების შეცვლაზე.

თავმჯდომარემ განუმარტა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ არსებული შენიშვნებიდან საბჭომ არ გაიზიარა მხოლოდ 2.1 შენიშვნა, ხოლო სხვა ყველა ხარვეზი კვლავ გამოუსწორებელი იყო. შესაბამისად, სკოლა ამ ეტაპზე ვერ აკმაყოფილებდა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

საბჭომ იმსჯელა შპს - ჯი-ვი-ენის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ჯი-ვი-ენის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ჯი-ვი-ენს უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

ავტორიზაციის საბჭოს წევრმა დავით კახნიაშვილმა დაწესებულების წარმომადგენლებს განუმარტა, რომ მართალია საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიოზაციის საბჭოს გადაწყვეტილება შპს - ჯი-ვი-ენის მიმართ იყო უარყოფითი, თუმცა საბჭომ გაითვალისწინა დაწესებულებაში ჩარიცხული მოსწავლეების ინტერესები და მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, შპს - ჯი-ვი-ენისთვის“ ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება ძალაში შევა მიმდინარე სასწავლო სემესტრის დამთავრების მომენტიდან.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, ის აღნიშნული სახის გადაწყვეტილებას არ ეთანხმება, რადგან მიაჩნია, რომ როდესაც საბჭოს იღებს გადაწყვეტილებას ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ, აღნიშნული გადაწყვეტილების დაინტერესებული პირისათვის ჩაბარების მომენტიდან დაწესებულებამ უნდა შეწყვიტოს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება. თუმცა, ავტორიზაციის საბჭოს აქვს მსგავსი პრაქტიკა და შპს - ჯი-ვი-ენისთვის“ ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება ძალაში შევა მიმდინარე სასწავლო სემესტრის დამთავრების მომენტიდან.

24. ა(ა)იპ - კრეატიული განათლების სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 დაწესებულებამ შპს - ,,ინსტა– ჯორჯიასთან“ გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია–ანატომიის სასკოლო ლაბორატორიების აღჭურვილობის (208 დასახელება, 13800 ლარის ღირებულება) შეძენაზე. დაწესებულებამ ავანსის სახით გადაიხადა 7000 ლარი.

1.2 გრიფირებული სახელმძღვანელოების შეძენას დაწესებულება გეგმავს ამ საფეხურის სახელმძღვანელობისათვის გრიფის მინიჭების შემდეგ, 2012-2013 სასწავლო წლისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ შპს - ,,ინსტა– ჯორჯიასთან“ გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, ა(ა)იპ - კრეატიული განათლების სკოლა ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია–ანატომიის სასკოლო ლაბორატორიების აღჭურვილობას მიიღებს 2012 წლის პირველი აპრილისთვის.

გრიფირებულ სასკოლო სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვინაიდან სკოლა ჯერ არ ფუნქციონირებდა, სახელმძღვანელოებს შეიძენდნენ მას შემდეგ, როდესაც მათთვის 2012-2013 სასწავლო წლისთვის მოხდებოდა გრიფის მინიჭება. ავტორიზაციის საბჭოს წევრის დავით კახნიაშვილის მოსაზრებით, ვინაიდან სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავდა მოსწავლეები, აღნიშნული შენიშვნა იყო არაარსებითი ხასიათის.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების,

ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 50-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 50 მოსწავლისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - კრეატიული განათლების სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 50-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა” ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - კრეატიული განათლების სკოლას მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 50-ით.

25. შპს - სკოლა-ლიცეუმ გრაალის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 სკოლის მიერ დოკუმენტალურად წარმოდგენილი არ იყო მოსწავლეებისა და მათი მშობლებისათვის შეფასების სისტემის გაცნობის წესები.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 სკოლა 2009 წლის დეკემბერის თვიდან ქირავნობის ხელშეკრულებით სამი წლის ვადით ფლობს შენობის მეორე სართულს - საერთო ფართით 200 კვ.მ. ხელშეკრულება დადებული 2012 წლის დეკემბრის თვემდე. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით სკოლას უფიქსირდება 200 კვ.მ. ფართი.

2.2 სკოლაში სპორტის სახეობებად არჩეულია: ჭადრაკი, ფრენბურთი, ფეხბურთი და ხრიდოლი. სკოლას სპორტული დარბაზი არა აქვს. დაწესებულება ფრენბურთისა და ფეხბურთის გაკვეთილების ჩასატარებლად იყენებს სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულ ქ. თბილისის მერიის სარგებლობაში არსებულ სპორტულ მოედანს. თუმცა ხელშეკრულება ქალაქის მერიასთან აღნიშნული მოედნით სარგებლობის თაობაზე არ არის გაფორმებული.

2.3 საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის შესაძენად სკოლას დადებული აქვს ხელშეკრულება შპს - „ჯეო დეკორთან“. ვიზიტის დროს დაწესებულებას თანხა გადახდილი არ ჰქონდა.

2.4 დაწესებულებას სსსმ მოსწავლეთათვის დამონტაჟებული არა აქვს ადაპტირებული სველი წერტილი.

2.5 სკოლას წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად არ ჰყავს მანდატური.

2.6 სკოლას შეძენილი აქვს ვიდეომეთვალყურეობის სისტემა, მაგრამ იგი არ შეესაბამება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით

განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

2.3 შენიშვნასთან დაკავშირებით სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ შპს - სკოლა-ლიცეუმმა გრაალმა წარმოადგინა შპს - ,,ევრიკა ზუსთან“ 2012 წლის წლის 15 მარტს დადებული ხელშეკრულება საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების შესყიდვის თაობაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა შპს - ,,ევრიკა ზუსთვის“ 3000 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

2.4 ხარვეზთან დაკავშირებით სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლას სსსმ მოსწავლეთათვის დამონტაჟებული ჰქონდა ადაპტირებული სველი წერტილი. აღნიშნულის დასადასტურებლად დაწესებულების წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა შესაბამისი ფოტომასალა.

2.5 შენიშვნასთან დაკავშირებით სკოლის დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან 2012 წლის 20 მარტს გაფორმებული ხელშეკრულება.

უსაფრთხოების კამერებთან დაკავშირებით შპს - სკოლა-ლიცეუმ გრაალის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ 2012 წლის 20 მარტს დადო ხელშეკრულება გელა დავლიანიძესთან უსაფრთხოების კამერის შეძენის თაობაზე.

2.2 შენიშვნასთან დაკავშირებით სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შპს - სკოლა-ლიცეუმ გრაალს ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული ხრიდოლის შემსწავლელ ცენტრ „იბერიელ მგლებთან“. ხელშეკრულების მიხედვით, სკოლის მოსწავლეებს უფლება ჰქონდათ შაბათობით ესარგებლათ სპორტული დარბაზით. შპს - სკოლა-ლიცეუმმა გრაალმა სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულ ღია სპორტულ მოედანთან დაკავშირებით გააფორმა ხელშეკრულება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარესთან. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა იყო თუ არა აღნიშნული ხელშეკრულებები დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ შემსწავლელ ცენტრ „იბერიელ მგლებთან“ და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარესთან დადებული ხელშეკრულებები არ იყო დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა სკოლის დირექტორს, დასტურდებოდა თუ არა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საკუთრების უფლება ღია სპორტულ მოედანთან დაკავშირებით. სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლამ ვერ გაარკვია თუ ვის საკუთრებაში იყო ღია სპორტული მოედანი. შესაბამისად კახი ყურაშვილის მოსაზრებით, შპს - სკოლა-ლიცეუმ გრაალის მიერ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარესთან დადებული ხელშეკრულება იურიდიულად არ იყო სწორად გაფორმებული, ვინაიდან ვერ დასტურდებოდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საკუთრების უფლება აღნიშნულ მოედანთან დაკავშირებით.

ცენტრის დირექტორის პირველი მოადგილე დაინტერესდა, თუ რამდენ დღეზე იყო გაწერილი სკოლის სასწავლო გეგმა. დაწესებულების დირექტორმა განმარტა, რომ სკოლის სასწავლო გეგმა გაწერილი იყო ხუთ დღეზე. აღნიშნული დაადასტურა ავტორიზაციის ექსპერტმა ირინა დვალმა. შესაბამისად, ცენტრის დირექტორის პირველი მოადგილის მოსაზრებით, გაუგებარი იყო ის გარემოება, რომ სკოლის მოსწავლეებს სპორტის გაკვეთილები ხრიდოლის შემსწავლელ ცენტრში უტარდებოდათ შაბათათობით, ანუ კვირის მეექვსე დღეს.

აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრებმაც.

საბჭოს თავმჯდომარის, კახი ყურაშვილის, განცხადებით, ავტორიზაციის სტანდარტი სკოლას ავალდებულებს, რომ ჰქონდეს სპორტული დარბაზი. მისი განცხადებით, საბჭოს თვის მნიშვნელოვანია იურიდიული დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდება აღნიშნულის მართლზომიერი ფლობა. შესაბამისად, ავტორიზაციის დებულების თანახმად, ერთ-ერთი სტანდარტის დარღვევა არის ავტორიზაციაზე უარის თქმის საფუძველი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სკოლა-ლიცეუმ გრაალის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი -5

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - სკოლა-ლიცეუმ გრაალს უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

ავტორიზაციის საბჭოს წევრმა დავით კახნიაშვილმა დაწესებულების წარმომადგენლებს განუმარტა, რომ მართალია საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიოზაციის საბჭოს გადაწყვეტილება შპს - სკოლა-ლიცეუმ გრაალის მიმართ იყო უარყოფითი, თუმცა საბჭომ გაითვალისწინა დაწესებულებაში ჩარიცხული მოსწავლეების ინტერესები და მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, შპს - სკოლა-ლიცეუმ გრაალისთვის ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება ძალაში შევა მიმდინარე სასწავლო სემესტრის დამთავრების მომენტიდან.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, ის აღნიშნული სახის გადაწყვეტილებას არ ეთანხმება, რადგან მიაჩნია, რომ როდესაც საბჭო იღებს გადაწყვეტილებას ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ, აღნიშნული გადაწყვეტილების დაინტერესებული პირისათვის ჩაბარების მომენტიდან დაწესებულებამ უნდა შეწყვიტოს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება. თუმცა, ავტორიზაციის საბჭოს აქვს მსგავსი პრაქტიკა და შპს - სკოლა-ლიცეუმ გრაალისთვის ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება ძალაში შევა მიმდინარე სასწავლო სემესტრის დამთავრების მომენტიდან.

26. შპს - მრავალპროფილიანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ,,ლიბერთი პროფის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე შპს - მრავალპროფილიანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ,,ლიბერთი პროფის“ წარმომადგენლის გამოუცხადებლობის გამო, საბჭოს თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ გადადებულიყო აღნიშნული დაწესებულების ავტრიზაციის საკითხის განხილვა. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს ავტორიზაციის საბჭოს სხვა წევრებმაც.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - მრავალპროფილიანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ,,ლიბერთი პროფის“ ავტორიზაციის განხილვის გადადების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შემდგომი სხდომისთვის გადაიდოს შპს - მრავალპროფილიანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ,,ლიბერთი პროფის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა 22:20 საათზე.

კახი ყურაშვილი
თავმჯდომარე

ლალი ღოღელიანი
მდივანი